



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი  
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური  
პედიატრიული რეაბილიტაცია  
მაგისტრატურა  
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი  
17.03.2022-21.04.2022  
დასკვნის წარდგენის თარიღი  
08.06.2022

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	2113287034
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პედიატრიული რეაბილიტაცია
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0915 თერაპია და რეაბილიტაცია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტირებული 3.12.2019 გადაწყვეტილება N 227 ( სხდომის ოქმი N63, ოქმი N 05 ნაწილი)

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან ბერიძე. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახ. სასწავლო უნივერსიტეტი. საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელისო მურვანიძე. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახ. სასწავლო უნივერსიტეტი. საქართველო

<sup>1</sup> ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა „პედიატრიული რეაბილიტაცია“ წარმოადგენს აკრედიტირებულ პროგრამას (3.12.2019 გადაწყვეტილება N 227 (სხდომის ოქმი N63, ოქმი N 05 ნაწილი). პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით; შედეგად, შეიცვალა და შესაბამისობაში მოვიდა ახალ სტანდარტთან კვალიფიკაციის კოდი; სტრუქტურა, მიზნები და სწავლის შედეგები არ შეცვლილა.

სამაგისტრო პროგრამა „პედიატრიული რეაბილიტაცია“ მოიცავს 120 ECTS კრედიტს ( 1 კრედიტი 30სთ), შედგება: ძირითადი სფეროს სავალდებულო კურსი - მოიცავს 84 ECTS კრედიტს; სავალდებულო არჩევითი კურსი - მოიცავს 6 ECTS კრედიტს, სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა - მოიცავს 30 ECTS კრედიტს – პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, (რაც ემთხვევა კრედიტების განაწილებას სილაბუსების მიხედვით) ხოლო თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით - ძირითადი სფეროს სავალდებულო კურსი ( მოიცავს 78 ECTS კრედიტს); სავალდებულო არჩევითი კურსი (მოიცავს 8 ECTS კრედიტს), სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა (მოიცავს 34 ECTS კრედიტს) . სწავლების ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს - 4 სემესტრი.

სამაგისტრო პროგრამის „პედიატრიული რეაბილიტაცია: მიზანია ისეთი კადრების მომზადება, რომელებიც აღჭურვილნი იქნებიან, ბავშვთა სამედიცინო რეაბილიტაციისათვის საჭირო ცოდნითა და ახალი პროფესიული უნარ-ჩვევებით, რათა მათ შეძლონ: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ბავშვთა და მოზარდთა ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის გაუმჯობესება, სიცოცხლის ხარისხის ამაღლება, ეროვნული და საერთაშორისო პროფესიული გამოცდილების საფუძველზე კვალიფიციური სპეციალიტის მომზადება სარეაბილიტაციო, სპორტული და სამედიცინო ცენტრებისათვის.

პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებს და სტრატეგიულ გეგმას, ასევე ასახავს დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. სამაგისტრო პროგრამის შემუშავების წესი განსაზღვრულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებით.

პროგრამის სწავლის შედეგები, რომელიც ჩამოყალიბებულია მკაფიოდ, უმეტესწილად ზმნების აწმყო დროში, აქტიური ფორმის გამოყენებით, სრულად ასახავს დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, იმ ცოდნასა და უნარებს, რომელიც პროგრამის დასრულებისას უნდა ქონდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირს. ცოდნის შედეგებში ასახულია როგორც ზოგადი ტრანსფერული ( აქვს დარგის მიმართულებით ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს; ყოველი კონკრეტული შემთხვევის ირგვლივ გუნდურ განხილვაში მონაწილეობა, ახალი მიდგომების გამოყენება სხვადასხვა მანიპულაციების დანიშნულების მიხედვით ჩატარება, კვლევის განხორციელება უახლეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების გამოყენებით კრიტიკული

ანალიზი, დასკვნების ჩამოყალიბება. სხვადასხვა შემთხვევებთან დაკავშირებით ახლი მოსაზრებების ჩამოყალიბება; სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრულად გამოყენება, სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მოპოვება, სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვა; პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკებების წარმართვა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა, სამართლიანობის, და ტოლერანტობის პრინციპების გათვალისწინებით და სხვ. ) ისე დარგობრივი ( აქვს ღრმა ცოდნა ბავშვის ნორმალური განვითარებისა და განვითარების დარღვევების, დარღვევის ფორმების, მათი გამომწვევი მიზეზებისა და რეაბილიტაციის შესახებ; საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის შესახებ და აცნობიერებს რეაბილიტაციის მაგისტრის როლს გუნდური მუშაობის დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის რეაბილიტაციაში; ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ღრმა ცოდნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის განსაზღვრის, მისი სოციალური დაცვისა და სახელმწიფო გარანტიების შესახებ; შეუძლია: ბავშვის ზრდა-განვითარების შეფასება და სამედიცინო მეთვალყურეობის მონიტორინგის წარმართვა, მიღებული ცოდნის შესაბამისად ჩაატაროს სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროცედურები (მასაჟი, ფიზიოთერაპიული პროცედურები, ფიზიკური თერაპიის კურსები, აღდგენითი პროცედურები და სხვ), მაგისტრს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეუძლია ძირითადი პრობლემის ფორმულირება, ჯგუფის წევრებთან საქმიანობის კოორდინებულად განხორციელება, დაამყაროს კონტაქტი პაციენტთან, პაციენტის მშობლებთან და ოჯახის წევრებთან, შეუძლია მათ გასაგებ ენაზე მიაწოდოს ინფორმაცია ბავშვის მდგომარეობის შესახებ, დაწესებულებაში არსებული სარეაბილიტაციო საშუალებების, მათი გამოყენების წესისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ და სხვ.) კომპეტენციები.

სწავლის შედეგების მიღწევადობას ადასტურებს სასწავლო კურსების შინაარსი და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და საშუალებები.

სასწავლო კურსის „ნერვული სისტემის თანდაყოლილი და შეძენილი პათოლოგიები ბავშვებში სარეაბილიტაციო მულტიდისციპლინური მიდგომები“ სილაბუსის მიზნებში მითითებულია „ ... შეუძლია აირჩიოს სწორი და ადეკვატური მიმართულებები რეაბილიტაციურ და ოკუპაციურ თერაპიაში“. კონკრეტული კურსის სასწავლო თემატიკაში არ ისახება ოკუპაციური თერაპიის საკითხების განხილვა, ამიტომ მოცემული კურსი აღნიშნულ შედეგზე ვერ გავა; ყველა სხვა შედეგი მიღწევადია და შესაბამისად გადის პროგრამის სწავლის შედეგებზე.

პროგრამა უზრუნველყოფილია ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსებით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, ეფექტურ ფუნქციონირებას და შესაძლებელს გახდის დასახული მიზნების მიღწევას.

პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულს მიენიჭება კვალიფიკაცია ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის მაგისტრი.

#### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტის მიერ, 17.03.2022 - ში, მოწოდებული იყო (ელექტრონულად) სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „პედაგოგიური რეაბილიტაცია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის

შესაბამისობასთან მოყვანის ანგარიში, ასევე სამუშაოსათვის დამატებითი დოკუმენტაცია და დასკვნის ფორმა, რათა დაგვედგინა საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“.

ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა: ქეთევან ბერიძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე; ელისო მურვანიძე - წევრი.

ექსპერტთა ჯგუფის წევრებს, დოკუმენტაციის შესწავლის პროცესში, ჰქონდათ კომუნიკაცია (ელ. ფოსტა, zoom-ის ფლატფორმით ჩართვა, სატელეფონო), ასევე შედგა სამუშაო შეხვედრა ონ-ლაინ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტთან.

მოწოდებული მასალების ანალიზის შედეგად შემუშავდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი და შემდგომ დასკვნა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის „პედაგოგიური რეაბილიტაცია“ შინაარსი, მოცულობა და სტრუქტურა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამა ეყრდნობა რეაბილიტაციის სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე სტანდარტებს. პროგრამის და თანდართული დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე შეფასდა პროგრამის შემდეგი სტანდარტები:

- ✓ **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** - მოცემული სტანდარტი შეფასდა შესაბამისობით აკრედიტაციის სტანდარტთან. პროგრამის მიზანი ნათლადაა ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია, ასახავს თუ რა უნარებისა და კომპეტენციის კურსდამთავრებულის მომზადებაზეა ორიენტირებული და სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიებს; ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს. დეტალურადაა გაწერილი პროგრამის შედეგების შეფასება - კომპეტენციები.
- ✓ **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** - შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან. ცალკეული კურსი პასუხობს პროგრამაში გაწერილ მიზნებს, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის განხორციელების პროცესში.
- ✓ **სწავლების ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა** პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და მოწვეული მასწავლებლები; პროგრამის განხორციელებისთვის გამოიყენება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სიმულაციური კლასები, საუნივერსიტეტო ბაზები, შესაბამისი პროფილის აფილირებული კლინიკები, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში.

- **რეკომენდაციები**

სასურველია, სილაბუსში „ნერვული სისტემის თანდაყოლილი და შეძენილი პათოლოგიები ბავშვებში სარეაბილიტაციო მულტიდისციპლინური მიდგომები“ - სწავლის შედეგებში ამოღებული იქნას შედეგი „...შეუძლია აირჩიოს სწორი და ადეკვატური მიმართულებები ... ოკუპაციურ თერაპიაში“, რადგანაც ეს კურსი არ გადის აღნიშნულ შედეგზე, მაგრამ ყველა სხვა შედეგი მიღწევადია და გადის პროგრამის სწავლის შედეგზე.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია, მეტი ყურადღება მიექცეს კრედიტების ასახვას/გაფორმებას სხვადასხვა დოკუმენტებში, რადგან: ძირითადი სფეროს სავალდებულო კურსი, სავალდებულო არჩევითი კურსის, სამაგისტრო ნაშრომის მომზადების და დაცვის კრედიტების განაწილება პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, ემთხვევა კრედიტების განაწილებას სილაბუსების მიხედვით, მაგრამ არ ემთხვევა თვითშეფასების ანგარიშში კრედიტების განაწილებას, რაც არის მექანიკური შეცდომა.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**



## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის „პედიატრიული რეაბილიტაცია“ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, პროგრამის მიზნები არ შეცვლილა.

სამაგისტრო პროგრამის „პედიატრიული რეაბილიტაცია“ მიზანია ისეთი კადრების მომზადება, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან, ბავშვთა სამედიცინო რეაბილიტაციისათვის საჭირო ცოდნითა და ახალი პროფესიული უნარ-ჩვევებით, რათა მათ შეძლონ: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ბავშვთა და მოზარდთა ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის გაუმჯობესება, სიცოცხლის ხარისხის ამაღლება, ეროვნული და საერთაშორისო პროფესიული გამოცდილების საფუძველზე კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება სარეაბილიტაციო, სპორტული და სამედიცინო ცენტრებისათვის.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (UNCRPD) რატიფიცირება სახელმწიფოს ავალდებულებს სათანადო სერვისების ეფექტურად მიწოდებას. საქართველოში შემუშავდა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციისა და ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამა“, სადაც ცალკეა გამოყოფილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელება. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დოკუმენტებში აღწინშულია, რომ დღეისათვის არსებული სარეაბილიტაციო მომსახურება ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას, განსაკუთრებით დაბალ და საშუალო შემოსავლების ქვეყნებში და საყოველთაო ჯანდაცვამ უნდა უზრუნველყოს სარეაბილიტაციო მომსახურების ხელმისაწვდომობა, მაღალი ხარისხი და უსაფრთხოება; ამდენად მნიშვნელოვანია ქვეყანაში მომზადდეს მაღალკვალიფიციური რეაბილიტოლოგები, მათ შორის პედიატრიული რეაბილიტაციის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. სამაგისტრო პროგრამა „პედიატრიული რეაბილიტაცია“ ითვალისწინებს ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ სისტემაში რეაბილიტაციის სამსახურის განვითარების და განხორციელების მაღალ მოთხოვნას, რითაც წვლილს შეიტანს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სამაგისტრო პროგრამის „პედიატრიული რეაბილიტაცია“ მიზნები ნათლად არის

გაწერილი, კონკრეტული, მიღწევადი და რეალისტურია. მიზნები სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის დეკლარირებულ მისიას, მიზნებსა და სტრატეგიებს; ასახავს კურსდამთავრებულისათვის როგორი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მინიჭებაზეა მიმართული, ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ტენდენციებს და დარგის განვითარების მოთხოვნებს, ასახავს წვლილს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამის „პედაგოგიური რეაბილიტაცია“ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში;
- „პედაგოგიური რეაბილიტაცია“ სამაგისტრო პროგრამა;
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მისია, ხედვა ღირებულებები (უნივერსიტეტის საიტი [www.tsmu.edu](http://www.tsmu.edu))

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან



არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის „პედიატრიული რეაბილიტაცია“ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, პროგრამის სწავლის შედეგები არ შეცვლილა.

სწავლის შედეგები აღიწერა კრიტერიუმების - „ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარები“ , პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“ შესაბამისად.

პროგრამით „პედიატრიული რეაბილიტაცია“ მიღწეული სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, განაპირობებს იმ ძირითადი ცოდნის და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომელიც პროგრამის მიზანშია გაწერილი; პროგრამით მიღწეული შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში, მეორე საფეხურისთვის (მაგისტრი) განსაზღვრულ კრიტერიუმებს (ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) და მაგისტრის კვალიფიკაციას. პროგრამის სწავლის შედეგებში, თითოეული კრიტერიუმში „(ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარები“ , პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“) მოცემულია როგორც ზოგადი ტრანსფერული ( აქვს დარგის მიმართულებით ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს. ყოველი კონკრეტული შემთხვევის ირგვლივ გუნდურ განხილვაში მონაწილეობა, ახალი მიდგომების გამოყენება სხვადასხვა მანიპულაციების დანიშნულების მიხედვით ჩატარება, კვლევის განხორციელება უახლესი მეთოდოლოგიით; მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების გამოყენებით კრიტიკული ანალიზი, დასკვნების ჩამოყალიბება; სხვადასხვა შემთხვევებთან დაკავშირებით ახალი მოსაზრებების ჩამოყალიბება; წერილობითი და ზეპირი ეფექტური კომუნიკაცია, ინფორმაციის მიღება და გაცემა სათანადო ფორმატით; კომუნიკაცია პროფესიული და კვლევითი საქმიანობის დროს; სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრულად გამოყენება, სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მოპოვება, სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვა; პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკებების წარმართვა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა, სამართლიანობის, და ტოლერანტობის პრინციპების გათვალისწინებით), ასევე კონკრეტული დარგობრივი კომპეტენციები (აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა: ბავშვის ნორმალური განვითარებისა და განვითარების დარღვევების, დარღვევის ფორმების, მათი გამომწვევი მიზეზებისა და რეაბილიტაციის

შესახებ, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის შესახებ და აცნობიერებს რეაბილიტაციის მაგისტრის როლს გუნდური მუშაობის დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის რეაბილიტაციაში, ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ღრმა ცოდნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის განსაზღვრის, მისი სოციალური დაცვისა და სახელმწიფო გარანტიების შესახებ; მაგისტრი აცნობიერებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის რეაბილიტაციისა და სოციალური ინტეგრაციის მნიშვნელობას ოჯახისა და საზოგადოებისათვის. შეუძლია: განსაზღვროს რეაბილიტაციის საჭიროება, ფორმები და მეთოდები, სარეაბილიტაციო პროცედურების ჩატარების ხანგრძლივობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისათვის; სასწავლო პროცესში გამოიყენოს სასწავლო-საინფორმაციო რესურსები, იმუშაოს ბიბლიოთეკაში, შეუძლია ჩაატაროს მასალების მოძიება ელექტრონულ მატარებლებზე; დაამუშაოს და კრიტიკულად შეაფასოს მოძიებული ლიტერატურა და დაწეროს რეფერატი, მოამზადოს ლიტერატურული მიმოხილვა, მოახდინოს სხვადასხვა კვლევების შედეგების ანალიზი; ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნის საფუძველზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პაციენტის უფლებების დაცვა; მოლაპარაკების წარმართვა მისთვის სოციალური დახმარების და შეღავათების მისაღებად).

პროგრამის „პედიატრიული რეაბილიტაცია“ სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია და სავსებით შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; შეესაბამება კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს, იძლევა სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების საშუალებას; შეესაბამება დარგის სპეციფიკას და ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ტენდენციებს.

სამაგისტრო პროგრამის „პედიატრიული რეაბილიტაცია“ „ეროვნული კლასიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე : აკადემიური და მოწვეული პერსონალი. ხარისხის სამსახური, დეპარტამენტის ხელმძღვანელები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

სამაგისტრო პროგრამას „პედიატრიული რეაბილიტაცია“ განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, შედეგების შეფასება ხდება მიმდევრულად, გამჭვირვალედ. სწავლის შედეგების შეფასების სიტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ მეთოდებს, რომლებიც იძლევიან სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას. პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება პირდაპირი - კონკრეტულ სასწავლო კურსში წარმოდგენილი ცოდნის შემოწმების ფორმები - ტესტი, ქვიზი, გამოცდა, პრეზენტაცია, ქეისის ჰოლისტიკური შეფასება, პრაქტიკული უნარ-ჩვევების დემონსტრირება თუ სხვა სახის აქტივობები და არაპირდაპირი მეთოდები. პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები სწავლის თითოეული შედეგისათვის.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში ;
- სამაგისტრო პროგრამა „პედიატრიული რეაბილიტაცია“
- კომპონენტები და სწავლის შედეგები (დანართი 1)
- სწავლის შედეგები შემფასებლები, კრიტერიუმები (დანართი 2)
- თვითშეფასების ჯგუფის სხდომის ოქმები
- კურიკულუმის რუქა

<ul style="list-style-type: none"> <li>○ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესი</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p><b>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</b></p>
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>სამაგისტრო პროგრამის „პედიატრიული რეაბილიტაცია“ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არ შეცვლილა.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების პირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, საჯარო და ხელმისაწვდომია.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბ-ჭოს მიერ დამტკიცებული მაგისტრატურის დებულების მიხედვით.</p> <p>სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა:</p> <p>ა) ბაკალავრის აკადემიური ხარისხი რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის მიმართულებით, ასევე მედიცინის მიმართულებაში, ასევე მომიჯნავე დარგებში ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება;</p> <p>გ) შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების წარმატებით ჩაბარება.</p> <p>შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა შედგება ტესტირებული გამოცდისაგან სპეციალობაში „პედიატრიული რეაბილიტაცია“ და უცხოური ენის (ინგლისური ენა) ფლობის დონის დასადგენი ტესტირებისაგან B2 ცოდნის დონის დასადგენად.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ სამაგისტრო პროგრამა „პედიატრიული ადაპტაცია“;</li> <li>○ პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში ;</li> <li>○ საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“</li> <li>○ უნივერსიტეტის ვებგვერდი <a href="http://www.tsmu.edu">www.tsmu.edu</a></li> <li>○</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სამაგისტრო პროგრამის „პედიატრიული რეაბილიტაცია“ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი არ შეცვლილა.

სამაგისტრო პროგრამა „პედიატრიული რეაბილიტაცია“ შედგენილია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე. მოიცავს 120 (ECTS) კრედიტს; 1 (ECTS) კრედიტი - 30სთ. სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს, 4 სემესტრი. პროგრამა მოიცავს თეორიულ-პრაქტიკულ და კლინიკურ სასწავლო კურსებს, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვა ხანგრძლივობის კლინიკურ პრაქტიკას და სადიპლომო ნაშრომის შესრულება-დაცვას; კრედიტები განაწილებულია შემდეგნაირად: ძირითადი სფეროს სავალდებულო კურსი მოიცავს 84 ECTS კრედიტს ; სავალდებულო არჩევითი კურსი მოიცავს 6 ECTS

კრედიტს, სადიპლომო ნაშრომის შესრულება და დაცვა 30 ECTS კრედიტი; (კრედიტების ასეთი განაწილება ისახება პროგრამაში, დანართებში „სამაგისტრო პროგრამა „პედიატრიული რეაბილიტაცია“ კრედიტებისა და ადმინურ რესურსების განაწილება სილაბუსების მიხედვით“ , სილაბუსებში. (არ ემთხვევა თვითშეფასებაში მოცემულ კრედიტების განაწილებას). არჩევითი საგნების შეთავაზება ხდება სწავლების პირველ, მე-3 სემესტრებში. პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება სწავლების (მაგისტრატურა) საფეხურს; სტუდენტის სამუშაო დატვირთვა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილი საათები, ასახულია კრედიტების სისტემაში.

პროგრამაში შემავალი კომპონენტების კურსების მოცულობა წარმოდგენილია ევროპული ტრანსფერების სისტემის შესაბამისად, ერთი კრედიტი არის 30 საათი, საიდანაც, ერთი კრედიტის ფარგლებში, საკონტაქტო 10 საათი, ხოლო დამოუკიდებელი მუშაობის - 20 საათი.

სწავლის შედეგები მიღწევის დონეების მიხედვით წარმოდგენილია საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის „პედიატრიული რეაბილიტაცია“ პროგრამის კურიკულუმის რუკაზე. პროგრამაში კომპონენტები ურთიერთს ავსებს და/ან თანმიმდევრულად მოსდევს. პროგრამის ასეთი გააზრება უზრუნველყოფს წარმატებული კურსდამთავრებულის ისეთ ცოდნას და კომპეტენციებს, რომლებიც მის მიერ დოქტორანტურაში პროფესიული/აკადემიური განათლების გაგრძელების ან სამაგისტრო სპეციალობის მიხედვით დასაქმების შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს მოცემული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსი და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სადიპლომო ნაშრომი) თანმიმდევრულად და ლოგიკურადაა შედგენილი და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობა ადეკვატურია; პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს დაშვების წინაპირობას. პროგრამა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის შესაბამისად. პროგრამა ითვალისწინებს ახალი კვლევის შედეგებს და სფეროს მიღწევებს. პროგრამის შემუშავება - შესაბამისობაში მოყვანის პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე - აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები. პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამა „პედიატრიული რეაბილიტაცია“;
- კურიკულუმის რუკა;
- პროგრამის სილაბუსები;
- პროგრამის კრედიტების და ადამიანური რესურსების განაწილების რუკა
- ვებგვერდი - [www.tsmu.edu](http://www.tsmu.edu)
- პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ - შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში ;



**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია, მეტი ყურადღება მიექცეს კრედიტების ასახვას/გაფორმებას სხვადასხვა დოკუმენტებში, რადგან: ძირითადი სფეროს სავალდებულო კურსი, სავალდებულო არჩევითი კურსის, სამაგისტრო ნაშრომის მომზადების და დაცვის კრედიტების განაწილება პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, ემთხვევა კრედიტების განაწილებას სილაბუსების მიხედვით, მაგრამ არ ემთხვევა თვითშეფასების ანგარიშში კრედიტების განაწილებას, რაც არის მექანიკური შეცდომა.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.3. სასწავლო კურსი**

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.



### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის „ პედიატრიული რეაბილიტაცია“ ეროვნული კვლიდგაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, პროგრამის სასწავლო კურსები არ შეცვლილა.

სამაგისტრო პროგრამის „პედიატრიული რეაბილიტაცია“ სასწავლო კურსების შინაარსი შეესაბამება მოცემული კურსის სწავლის შედეგს და კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. თითოეული სასწავლო კურსისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს, ხოლო საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია; საკონტაქტო საათების რაოდენობა, სწავლა-სწავლების მეთოდები (ინტერაქტიური ლექციები, სემინარები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება/კლინიკური შემთხვევის შესწავლა, პრაქტიკული მეცადინეობები, ლაბორატორიული სავარჯიშოები, სწავლება სიმულატორებისა და მულაჟების გამოყენებით, სწავლა გამოცდილებით/კლინიკური პრაქტიკა, ჯგუფური მუშაობა, როლური თამაშები და სხვ.) შესაბამისობაშია კურსების შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სასწავლო კურსის „ნერვული სისტემის თანდაყოლილი და შეძენილი პათოლოგიები ბავშვებში სარეაბილიტაციო მულტიდისციპლინური მიდგომები“ სილაბუსის მიზნებში მითითებულია „ ... შეუძლია აირჩიოს სწორი და ადეკვატური მიმართულებები რეაბილიტაციურ და ოკუპაციურ თერაპიაში“. კონკრეტული კურსის სასწავლო თემატიკაში არ ისახება ოკუპაციური თერაპიის საკითხების განხილვა, ამიტომ მოცემული კურსი აღნიშნულ შედეგზე ვერ გავა; ყველა სხვა შედეგი მიღწევადია და შესაბამისად, გადის პროგრამის სწავლის შედეგებზე.

სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება შესაბამისი მეთოდ(ებ)ით.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა და სხვა მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, ასევე დარგის აქტუალურ მიღწევებს და ითვალისწინებს დარგში უახლეს კვლევებს. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ქართულ და ინგლისურენოვანია; დამხმარე ლიტერატურაში მითითებულია უცხოენოვანი (ძირითადად ინგლისურენოვანი) უახლესი ლიტერატურა და ვებ-რესურსები. სწავლის პროცესში გამოიყენება უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების მიერ შესაბამის დისციპლინაში შემუშავებული რიდერები/ჰენდაუთები. ყოველივე აღნიშნული, შესაბამისად უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას თანამედროვე მოთხოვნებთან.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- კურიკულუმის რუქა;
- სილაბუსები;

<ul style="list-style-type: none"> <li>○ პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>○ უნივერსიტეტის ვებგვერდი <a href="http://www.tsmu.edu">www.tsmu.edu</a></li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>სასურველია, სილაბუსში „ნერვული სისტემის თანდაყოლილი და შეძენილი პათოლოგიები ბავშვებში სარეაბილიტაციო მულტიდისციპლინური მიდგომები“ - სწავლის შედეგებში ამოღებული იქნას შედეგი „...შეუძლია აირჩიოს სწორი და ადეკვატური მიმართულებები ... ოკუპაციურ თერაპიაში“, რადგანაც ეს კურსი არ გადის აღნიშნულ შედეგზე, მაგრამ ყველა სხვა შედეგი მიღწევადია და გადის პროგრამის სწავლის შედეგზე.</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>.</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
